European Bank
for Reconstruction and Development

LTD "SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY OF GEORGIA"

# საზოგადოების ჩართულობის ანგარიში

ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი

გარემოზე  ზემოქმედების და  სოციალური ზემოქმედების ანგარიში




HPC AG

Nördlingerstr. 16, 86655 Harburg /Schwaben, Germany, Tel.: +49 9080 999-0, Fax: +49 9080 999-249 e-mail: dec@hpc-paseco.gr

Policy and Management Consulting Group (PMCG)

61 Aghmashenebeli Avenue, 4th floor | 0102, Tbilisi, Georgia.

T/F: (+99532) 292 11 71, 292 11 81 office@pmcg.ge |www.pmcg.com

## საზოგადოების ჩართულობა

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიხედვით ყველაa საქართველოს მოქალაქეს აქვს შემდეგი უდავო უფლებები:

„ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით“.

ამასთან, საზოგადოების ჩართულობა გარანტირებულია როგორც სკოპინგის, ასევე გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადების ეტაპზე. ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს უფლება, საჯარო განხილვების პერიოდში დააფიქსიროს თავისი მოსაზრება დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებით, ხოლო პროექტის განმახორციელებელი მხარე ვალდებულია განიხილოს მოწოდებული შენიშვნები და კომენტარები.

მოცემულ შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული ვადებისა და რეგლამენტის დაცვით, პროექტის განხორციელებით დაინტერესებული მხარე ვალდებულია მიიღოს და განიხილოს ყველა ის შენიშვნა და კომენტარი, რომელთა გათვალისწინება უზრუნველყოფს ობიექტის მშენებლობისა და ოპერირების ეტაპებზე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მინიმალურ ზეგავლენას.

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებს მიეკუთვნებიან: ცალკეული პირები, ადამიანთა ჯგუფი და/ან ორგანიზაცია (ორგანო), რომლებიც პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გამოხატავენ სუბიექტურ პოზიტიურ თუ ნეგატიურ განწყობას. დაინტერესებული მხარეები შეირჩნენ შემდეგი ჯგუფებიდან:

- სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიდან, პროექტისთვის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესისთვის პოლიტიკურად ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურები;
- ადგილობრივი მოსახლეობიდან, ნდობით აღჭურვილი პირები (დასახლებების რწმუნებულები), მოწყვლადი ჯგუფები და მიწათმოსარგებლეები პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მიმდებარე სოფლებიდან.

დაინტერესებულ მხარეებთან რამდენიმე შეხვედრა გაიმართა.ერთ-ერთი მათგანი ჩატარდა 2019 წლის დეკემბერში PMCG-სა და მისი საერთაშორისო პარტნიორის - საინჟინრო კომპანიის (HPC), ქვემო ქართლის გუბერნატორისა და ხუთი მუნიციპალიტეტის მერისა (თეთრი წყარო, მარნეული, დმანისი, ბოლნისი და წალკა) და პროექტის ბენეფიციარის- საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ორგანიზებით, ევროპული დირექტივების მიხედვით შემუშავებული პროექტის კონცეფციის წარსადგენად.




სურათი 1: შეხვედრა ადგილობრივ ხელისუფლებასთან

მეორე შეხვედრა ჩატარდა 2020 წლის 30 ივლისს ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტში. SWMCG-ის ხელმძღვანელმა გააცნო არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის პროექტი ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს. შეხვედრას ესწრებოდნენ ქვემო ქართლის რწმუნებული შოთა რეხვიაშვილი და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ქორიძე.







სურათი 2 და 3: შეხვედრა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ქვემო ქართლის მაცხოვრებლებთან.

მესამე შეხვედრაზე მოსახლეობას წარედგინა ქვემო ქართლის არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის პროექტის პრეზენტაცია. შეხვედრა გაიმართა 2020 წლის 20 დეკემბერს. COVID_19-ის პანდემიის შეზღუდვის გამო, შეხვედრა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში.




სურათი 4: ანგარიშის წარდგენა

დაგეგმილი გზშ-სთან დაკავშირებული შეხვედრა - გზშ-ს პროცედურების მიხედვით - **გაიმართება** გარემოს ეროვნულ სააგენტოში გზშ-ის ანგარიშის წარდგენიდან 45 დღეში. საქართველოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის შესაბამისად, გარემოს ეროვნულ სააგენტოში გზშ ანგარიშის წარდგენის შემდეგ, 25-დან 30 დღემდე, საზოგადოება უნდა გაეცნოს გზშ-დოკუმენტს.

მშენებლობის ეტაპზე საზედამხედველო და სამშენებლო კომპანიებს განესაზღვრებათ ვალდებულება ჰყავდეთ პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სოციალური საკითხების მართვაზე. მის მოვალეობაში შევა დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარული კომუნიკაცია, მათი ინფორმირება პროექტის აქტივობების შესახებ. ინფორმაციის გასავრცელებლად პერსონალი გამოიყენებს ადგილობრივ მედიას, სოციალურ ქსელებსა და ბროშურებს.

შეხვედრებისა და კონსულტაციების დროს, ყველა იმ პირს, რომელიც პოტენციურად მოხვდება პროექტის ზეგავლენის ქვეშ ან სხვა დაინტერესებულ მხარეებს, შესაძლებლობა ექნება, მიიღოს დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ და, ამასთან, დააფიქსიროს საკუთარი აზრი. შეხვედრებისა და კონსულტაციების შედეგები დაფიქსირდება დაინტერესებული მხარეების მონაცემთა ბაზაში. საზოგადოების ჩართულობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში, დადებით ზეგავლენას მოახდენს ახალი ნარჩენების განთავსების ობიექტების პროექტის მიმდინარეობაზე. გზშ-ს ანგარიში განიხილება საჯაროდ და მასში ცვლილებები შევა მას შემდეგ, რაც დასრულდება საჯარო კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან.